



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 090/11¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სალომე ბერიძე (სტუდენტი)

ფაქტები

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის წარმომადგენელმა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის წინააღმდეგ. ადვოკატმა პროცესის მონაწილის, მოწმის მიმართ საგაზეთო სტატიაში გამოიყენა შემდეგი ფრაზები: „არსებობს ვარაუდიც, რომ ბ.-ეს ლობირებით რ.-ის მიერ საქართველოში ჭუჭყიანი ფულის გათეთრება ხდებოდა.“ „მეჩვენება საშუალო განათლების მქონე ადამიანს, რომელიც ფარდა-ქალაქების დამზადებით იყო დაკავებული, 2 მილიონ 700 ათასი ევრო რეალურად ჰქონოდა. ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ფულის გათეთრებას ცდილობდა... ქართველმა თანამდებობის პირებმა ა. ბ.-ს მეშვეობით გაიტანეს ფული ბელგიაში და რ.-მა სწორედ ეს ფული გადმორიცხა. შემდეგ, როგორც ჩანს, მაღალჩინოსნებმა თანხა ვერ გაიყვეს.“ მოწმის პრეტენზიით ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადებები არის შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახავი და არღვევს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლს. ადვოკატის პოზიციით განმცხადებლის მოსაზრება, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა შესახებ კანონის 5(გ) მუხლი არის უსაფუძვლო. ადვოკატმა, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე მხარის წარმომადგენელმა, დაცვის მხარისთვის გადმოცემული ინფორმაციის საფუძველზე გამოთქვა ვარაუდი და ეჭვი და საჩივრის ავტორისთვის დანაშაულის ჩადენა არ დაუბრალებია. ადვოკატს მისთვის გადაცემული ჩვენებების გაცნობის შედეგად წარმოეშვა ეჭვი და ვარაუდი, რომელიც დაეფუძნა სისხლის სამართლის საქმის მასალებში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს. გარდა ამისა, პროკურორის მიერ არ მომხდარა ადვოკატის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დავალდებულება პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაემჟღავნებინა საქმეში არსებული ცნობები. შესაბამისად, ადვოკატს, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე მხარის წარმომადგენელს შეეძლო გაევრცელებინა დაცვის მხარისათვის გადმოცემული ინფორმაცია და მასზე დაყრდნობით მოეხდინა თავისი ვარაუდისა და ეჭვის (და არა ბრალდების) გამოთქმა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლზე და მიუთითა, რომ ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობათა და პასუხისმგებლობების“ გათვალისწინებით, რომელსაც მათი პროფესია აკისრებთ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლი წარმოადგენს ისეთ შემთხვევას, როდესაც ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, რადგან ადვოკატებს გააჩნიათ უფრო მეტი ვალდებულებები საზოგადოების სხვა წევრების მიმართ პროფესიული საქმიანობის შესრულებისას, შესაბამისად, აღნიშნული მუხლი ადვოკატებს აკისრებს ვალდებულებას ისარგებლონ გამოხატვის თავისუფლების უფლებით იმგვარად, რომ არ შელახონ სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.

სხვა პირთა ღირსების შემლახავი ცნობები შეფასებულ უნდა იქნეს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით. ღირსება ვერ იქნება გაგებული მხოლოდ როგორც

¹ <https://gba.ge/pdf/5c52a26bac2a1.pdf/5c52a26bac2a1.pdf>

სუბიექტური სიკეთე, რომელიც განსხვავდება ყოველი ადამიანისთვის, ასევე უნდა მოხდეს ობიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებით პირის ღირსების შემლახავი გამონათქვამის დადგენა. „უფლებად“ ვერ ჩაითვლება ის სიკეთე, რომლის ფარგლები განსხვავდება სხვადასხვა ადამიანისთვის მათი სუბიექტური შეხედულებების გამო. უფლება თავისთავად გულისხმობს ადამიანის იმ ინტერესს, რომელიც გარკვეული ხარისხით უნივერსალობისა და ობიექტურობის კრიტერიუმს აკმაყოფილებს. გარდა ამისა, შესაძლოა საჩივრის ავტორს საერთოდ არ მოსწონდეს ადვოკატის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მიცემული ინტერვიუს შინაარსს არ ეთანხმებოდეს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ადვოკატმა უსათუოდ შეზღუდა მისი უფლება, როგორც პროცესის მონაწილისა და შეულახა ღირსება.²

ეთიკის კომისიამ საჩივრის ავტორის განცხადებაზე ასევე განმარტა, რომ ადვოკატებმა პატივისცემა უნდა გამოხატონ და დაიცვან პროცესის მონაწილეთა უფლებები, ისევე როგორც კოლეგების და სასამართლო ორგანოში კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების ფარგლებით დადგენილი ზღვარი არ უნდა დაარღვიონ. კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს რომელი ინტერესი გადაძალავს, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება, თუ სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის ინტერესი. სამართლიანი წონასწორობა უნდა დამყარდეს არსებულ სხვადასხვა ინტერესს შორის, როგორებიცაა საზოგადოების უფლება, მიიღოს ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან წამოიჭრება, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების აუცილებლობა და იურიდიული პროფესიის ღირსება.³

ადვოკატის მიერ გაკეთებული კომენტარი წარმოადგენს ადვოკატის სუბიექტურ შეფასებას და მოსაზრებას სისხლის სამართლის საქმის თაობაზე, ადვოკატმა გამოთქვა ეჭვი და ვარაუდი სისხლის სამართლის საქმეში არსებული გარემოებების შესახებ და მისი მონაწილის - მოწმის მიმართ გააკეთა შეფასებები. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის საგაზეთო სტატიაში მიცემული კომენტარი მიზნად არ ისახავდა პროცესის მონაწილის უფლების შელახვას, რადგან ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დაცვის ფარგლებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საზოგადოებას მიაწოდა საკუთარი მოსაზრებები და ეჭვები სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისა და მონაწილე პირთა თაობაზე, რომლის დროსაც გამოიყენა სიტყვები: „ვეჭვობ“ „ვეჭვობ“. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატმა მოსაზრებები გამოხატა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, კერძოდ ადვოკატმა მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით გამოთქვა აზრი, რაც წარმოადგენდა ადვოკატის შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებული იყო გამონათქვამების ავტორის შეხედულებებზე. მისი კომენტარი არ ემყარებოდა ობიექტურ გარემოებებს.

ეთიკის კომისია ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სტატიაში მოცემული ფრაზები უნდა ყოფილიყო შეფასებული მთლიანი ინტერვიუს შინაარსიდან გამომდინარე და არა მართლმოდენ ადვოკატის ცალკეული გამონათქვამებით. ამის გათვალისწინებით, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს არ დაურღვევია ადვოკატთა შესახებ კანონით დადგენილი პროცესის მონაწილის

² საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N1/3/421,422.

³ Schmidt v. Austria, appl. no. 513/05,

უფლებები და მან გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში გააკეთა განცხადებები საგაზეთო ინტერვიუში.

ეთიკის კომისია საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან - ფაქტის ფულის გათეთრების თაობაზე ინფორმაციის სისწორესთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მას არ გააჩნია კომპეტენცია იმსჯელოს პირის ცილისწამების თაობაზე, კერძოდ, საჩივარში მოყვანილ გარემოებების დადგენის თაობაზე - ადვოკატმა გაავრცელა თუ არა სწორი ინფორმაცია საჩივრის ავტორის მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის, ფულის გათეთრების ჩადენის თაობაზე. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ცილისწამების ფაქტის დადგენის თაობაზე საჩივრის ავტორს შეუძლია მიმართოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოს - სასამართლოს.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ადვოკატის განცხადებებით ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი ვალდებულებები დაცულად მიიჩნია და უარი თქვა მის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.